



ყველაზე დიდი ინვესტიცია ჭიათურაში ურანგებამ ჩაღწა

ინტერვიუ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან,
სულხან მახათაძესთან

იხილეთ მე-6 გვერდზე

ენცივით გაზეთი „პ.ს.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ქუთაისის საკრებულომ ქალაქის 47 594 000-ლარიანი ბიუჯეტი დაამტკიცა



„პ.ს. ფოტო“ (მასან ჩაბალიძე)

გამჭვირვალე კონკურსი, თუ წინასწარ დარიგებული აღბილები?

ქუთაისის
თვითმმართველობაში
მიმდინარე გასაუბრებას
უნდობლობას უცხადებენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

2014 წელი — ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმიანობა სხვადასხვა რეპერტორით

იხილეთ მე-4 გვერდზე

ევროკავშირთან ანსოხიკაბის ხელშეკრულება, საქართველოს პრეზიდენტი და მისი დედინაცვალ- გამინაცვალი

იხილეთ მე-3 გვერდზე

2015 წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს „ნაციონალები“ შეუსრულებლობას უნიანსარმეტყველებენ

ქუთაისის მერიამ ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროექტზე მუშაობა დაასრულა. ბიუჯეტი განსახილველად საკრებულოს უკვე გადაეგზავნა და შენიშვნებსა და რეკომენდაციებს ელოდება. ცვლილებები საბიუჯეტო თანხებში, მომავალ წელს თანხა 4 მილიონით გაიზარდება და გათანაბრებითი ტრანსფერის გამოკლებით 47 7554000 ლარს შეადგენს.

ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები კი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოციალური სფეროს დაფინანსება იქნება.

ადგილობრივი ხელისუფლება შეეცადა, „ხალხის ბიუჯეტი“ ხალხთან ერთად დაეგეგმა, პრიორიტეტების განხილვა

სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ეტაპობრივი შეხვედრებით მიმდინარეობდა.

ბიუჯეტს, რომლითაც ადგილობრივი ხელისუფლება თავს იწონებს და რომლის ფარგლებშიც ქალაქში არაერთი პრობლემის გადაწყვეტას გეგმავს, უნდობლობას უცხადებენ „ნაციონალი“ დეპუტატები, რომელთაც 19 დეკემბერს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის დატყვევებას მხარი არ დაუჭირეს.

საკრებულოს სხდომაზე კი მერიის სამსახურებთან მთავარი ფინანსური დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის დეტალური განხილვა მოითხოვეს.

შეხვედრა 16 დეკემბერს გაიმართა,

„ნაციონალებმა“ მერიის სამსახურის უფროსებს ბიუჯეტთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები გააცნეს.

თუმცა, რეკომენდაციებს მაინც შენიშვნები სჭარბობდა. ტრანსპორტის მოსაკრებელი, საჯარო სანქციებით შემოსული თანხები, ბიუჯეტის ცენტრალური სისტემა – ეს ის ძირითადი პრიორიტეტებია, რომელთა შესრულებაც „ნაციონალებმა“ ეჭვქვეშ დააყენეს და იწინასწარმეტყველეს, რომ 2015 წლის ბიუჯეტი შეუსრულებლობისთვის არის განწირული.

„თქვენ ახლა ამბობთ იმას, რასაც მე ვწინასწარმეტყველებ ბიუჯეტთან დაკავშირებით, თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტით შემოიძლია ვთქვა, რომ ბიუჯეტი ვერ შესრულდება“ – მიმართა საკრებულოს „ნაციონალმა“ დეპუტატმა ბესიკ ბრეგვაძემ მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსს ირაკლი ავალიანს.

ოპონენტის შენიშვნას შენიშვნითვე უპასუხა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა. რომელმაც აღნიშნა, რომ „ნაციონალები“ ჩასაფრებული პოზიციიდან მხოლოდ ბიუჯეტის კრიტიკით არიან დაკავებული.

„ნაციონალებს“ ჩასაფრებული პოზიცია აქვთ. თუ რომელიმე სამსახურის ბიუჯეტი გაზრდილია – იმასთან რატომ გაზარდეთ, ხომ შეიძლება არ შესრულდესო.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

საქსტატის ინფორმაციით, იპორტმა ქსპორტს 94%-ით გადააჭარბა

იხილეთ მე-6 გვერდზე

თავარ სანიკიკა აგრიკული საბაჟალავრო პროგრამების შესახებ ქუთაისში შეხვედრა გაიმართა

იხილეთ მე-6 გვერდზე

გათუფი პასიანტს ღვიკლი გადაუწერეს

იხილეთ მე-7 გვერდზე



**PIN-ის და
განათლების
სამინისტროს
თანამშრომლობა
ახალგაზრდების
დასახმარებლად**

იხილეთ მე-3 გვერდზე

**„მე არაპარტო
შვილები,
არაპედ
გოგონების
მივიყვანე
წიგნამდე“**

იხილეთ მე-5 გვერდზე

2014 წელი – ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმიანობა სხვადასხვა რაკურსით

ქუთაისის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთი დიდი სასამართლოა საერთო სასამართლოების სისტემაში. მის შემადგენლობაში შედის ბაღდათის, ტყეზის და წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოები, სადაც იხილება მაგისტრატი მოსამართლეების განხილვის საქმეები, შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში უფლებამოსილებას ახორციელებს ათი მოსამართლე, რომლებსაც მართლმსაჯულების განხორციელებაში ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს დაახლოებით ორმოცდაათი საჯარო მოსამსახურე. ჩვენ ვთხოვთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ თემურ გოგობიას, რომ შეეფასებინა 2014 წელი, როგორი იყო იგი საქმიანობის თვალსაზრისით.

— ბატონო, თემურ, იქნებ შეაჯამოთ 2014 წელი, რა მნიშვნელოვანი საკითხები განხორციელდა სასამართლოში, როგორია საქმეთა განხილვის სტატისტიკა?

— მიმდინარე წელი, ისევე, როგორც სხვა წლები, ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთვის საკმაოდ დატვირთული იყო, როგორც შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობით, ასევე — სხვა აქტივობებითაც. 2014 წლის განმავლობაში, დღეის მდგომარეობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შემოვიდა დაახლოებით 970 სისხლის სამართლის, 2160 სამოქალაქო სამართლის, 406 ადმინისტრაციული სამართლის და 1836 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. სასამართლომ განიხილა დაახლოებით 980 სისხლის სამართლის საქმე, 2053 სამოქალაქო სამართლის, 405 ადმინისტრაციული სამართლის და 1782 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

სასამართლო თავისი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მოთხოვნის შემთხვევაში აქტიურად გასცემს საჯარო ინფორმაციას. მიმდინარე წლის განმავლობაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 47 განცხადება, რომელთაგან 41 მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

— როგორც მკითხველმა იცის, ქუთაისის სასამართლოში წელს რამდენიმე პროცესი წარიმართა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. რამდენად ორგანიზებულად მიმდინარეობს ამ ახალი ინსტიტუტის დანერგვა?

— დიახ, 2014 წელს ქუთაისის სასამართლოში რამდენიმე გახმაურებული და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმე წარიმართა. ასევე, განხორციელდა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

ნაფიცმა მსაჯულებმა ერთ საქმეზე უკვე გამოიტანეს ვერდიქტი, ერთი საქმე არსებითი განხილვის ეტაპზეა, ხოლო კიდევ ერთ საქმეზე მიმდინარეობს ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცედურები. მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეების განხილვის პრაქტიკა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში აქამდე არ არსებობდა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე გამართული სასამართლო პროცესები ორგანიზაციული თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ დონეზე იყო მომზადებული, რაც თავად ნაფიცი მსაჯულების მიერაც აღინიშნა შესაბამისი კითხვარების შევსებისას.

— გარდა მართლმსაჯულების განხორციელებისა, როგორც ვიცით, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე დონისძიებებსაც აწყოთ...

— ვცდილობთ, რომ ჩვენი საქმიანობის პარალელურად, ყურადღება დავუთმოთ სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს. ქუთაისის საქალაქო სასამართლო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის სოციალურ დონისძიებებში, რომლებშიც ჩართულია სასამართლოს მთელი პერსონალი. სასამართლოს თანამშრომლები მიმდინარე წლის აპრილის თვეში რამდენიმე სოციალურად დაუცველ ოჯახს ესტუმრნენ, მიულოცეს მათ ბზობა და დამდეგი ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. სასამართლოს თანამშრომლების მიერ შეგროვილი პირადი სახსრებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებს გადაეცათ ტელევიზორი, საკვები პროდუქტები, პირველადი მოხმარების საგნები და ტკბილეული.

— ბატონო, თემურ, საინტერესოა, რა ფორმით თანამშრომლობთ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უნივერსიტეტებთან, თქვენს მომავალ ახალგაზრდა კოლეგებთან?

— ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, სწორედ ამიტომ სასამართლო აქტიურად თანამშრომლობს ქალაქში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უნივერსიტეტებთან და საჯარო სკოლებთან. 2014 წლის განმავლობაში სასამართლოში ვიზიტად იმყოფებოდნენ რამდენიმე საჯარო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები. ისინი გაეცნენ საერთო სასამართლოების სტრუქტურას, სისხლის სამართლის საქმეების განხილვის პროცედურებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს და ამ კატეგორიის საქმეების წარმოების სპეციფიკას, დაინტერესდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ინფორმაციებით, რაზეც მიიღეს შესაბამისი განმარტებები. სასამართლო ანალოგიური ხასიათის შეხვედრებს პროფესიული ორიენტაციისა და დამატებითი პროექტის ფარგლებში არამარტო ქალაქის მასშტაბით, არამედ ბაღდათის და ტყეზის მუნიციპალიტეტებშიც მართავს.

მიმდინარე წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გააგრძელა ტრადიცია და კიდევ ორ უნივერსიტეტთან გააფორმა ურთიერთი თანამშრომლობის შედეგად სამარ-



ქუთაისის საქალაქო სასამართლო



მომორანდუმის გაფორმება



სტუმრად სოსილურად დაუხვალაბთან



იმიტირაციული პროცესი



შახვარა სკოლის მოსწავლეებთან



შახვარა სკოლის მოსწავლეებთან

შრომლობის მემორანდუმი, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს, სტუდენტთა სასამართლოსთან ურთიერთობის გზით, მათ პროფესიულ დაოსტატებას, განვითარებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას.

ყოველწლიურად დაახლოებით ოცამდე უნივერსიტეტის სტუდენტსა თუ კურსდამთავრებულს ეძლევა საშუალება, სტაჟირება გაიაროს სასამართლოში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში და შეისწავლოს მათი საქმიანობის პრინციპები.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად სამარ-

თლებრივი ოლიმპიადის ფარგლებში სტუდენტების და მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა რამდენიმე იმიტირებული პროცესი, სადაც ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით მოხდა საქმეების განხილვა. მსგავსი დონისძიებები ხელს უწყობს საზოგადოების სამართლებრივი შეგნების ამაღლებას და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მნიშვნელობის გათავისებას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო, მართლმსაჯულების განხორციელების პარალელურად, მომავალ წელსაც გეგმავს კიდევ უფრო მეტი აქტიურობით განაგრძოს სოციალურ დონისძიებებში მონაწილეობა.

— წარმატებებს გისურვებთ!

ნათო გუბაიაძე

პროექტს ახორციელებს შპს „ბესტკომპანი ჯორჯია“
ელფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

